

## დოკუმენტური ფილმების წარმოების დაფინანსების კონკურსის ჩატარების დებულება

### თავი I. ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში მაუწყებელი) ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ დოკუმენტური ფილმების (შემდგომში ფილმი) წარმოების დაფინანსება და სატელევიზიო ეთერში განთავსება, ეროვნული ფილმწარმოების ხელშეწყობა.

2. კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად მაუწყებელი ხელმძღვანელობს კანონიერების, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კოლეგიალურობის, კორექტულობის, თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის, რაციონალურობის, ანგარიშვალდებულების, კანონის წინაშე თანასწორობის და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით.

### თავი II. კონკურსში მონაწილეობა

#### მუხლი 2. უფლებამოსილი კონკურსანტი - პროდიუსერი

კონკურსში პროექტის განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის მიერ, რომელიც არის იურიდიული პირი.

#### მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის შეზღუდვები

1. კონკურსში არ დაიშვება პროდიუსერი:

1.1. რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიმართ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება და რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში.

1.2. რომლის დამფუძნებელი ან/და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და მისი ოჯახის წევრი არის

ა) ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი;

ბ) პოლიტიკური პარტიის წევრი;

- გ) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22 და 35<sup>3</sup> მუხლებით განსაზღვრული ხელმძღვანელი ორგანოს წევრი;
  - დ) მაუწყებლის მმართველი საბჭოს წევრი;
  - ე) ამ პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირების პირდაპირი აღმავალი და დადმავალი შტოს ნათესავი, და და მმა, მშობლისა და შვილის გერი, მეუღლის და, მმა და მშობელი.
2. კონკურსში არ დაიშვება პროექტი, რომლის თანადამფინანსებელი, ან თანამწარმოებელია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული პირები.

**მუხლი 4. კონკურსის გამოცხადების თარიღი და განაცხადების მიღების ვადა**

- 1. კონკურსი ცხადდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.
- 2. თითო პროექტის დაფინანსების მაქსიმალური რაოდენობა უნდა განისაზღვროს კონკურსის დაწყებამდე და იგი მითითებული უნდა იყოს საკონკურსო განაცხადებაში. მას მაუწყებლის მიზნებიდან და არსებული ბიუჯეტიდან გამომდინარე განსაზღვრავს მაუწყებლის დირექტორი.
- 3. საკონკურსო განაცხადების მიღების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 30 კალენდარული დღე.
- 4. მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება საკონკურსო განაცხადის შეფასებისწესიარაუგვიანეს საკონკურსო კომისიის შექმნის დღისა.

**მუხლი 5. სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაცია**

- 1. კონკურსშიმონაწილეობისმსურველმამაუწყებელშიუნდაწარმოადგინოს:
  - 1.1. განაცხადი;
  - 1.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, განახლებული ბოლო ერთი თვის განმავლობაში;
  - 1.3. ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი) საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი პირადობის მოწმობის, ან პასპორტის ასლები;
  - 1.4. პროდიუსერის ხელშეკრულებები რეჟისორთან და სცენარის ავტორთან, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განმცხადებელი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული;
  - 1.5. პროდიუსერის მოტივაცია;
  - 1.6. რეჟისორის ხედვა და მოტივაცია;
  - 1.7. ფილმის სინოფსისი (ერთ გვერდამდე);
  - 1.8.ფილმის სცენარი (ან სცენარის სამუშაო ვერსია);
  - 1. 9. ფილმის ბიუჯეტი;
  - 1. 10. საწარმოო გეგმა (სამუშაოს შესრულების განრიგი);
  - 1. 11. თანამწარმოებელთან, თანადამფინანსებელთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში).
- 2. ყოველი კონკრეტული კონკურსის გამოცხადებისას საკონკურსო პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია გარდა წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტებისამოთხოვნილი იყოსსხვა ინფორმაცია/დოკუმენტი.

## **მუხლი 6. საკონკურსო კომისიის შექმნა**

1. საკონკურსო კომისიის (შემდგომში - კომისია) შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე განისაზღვრება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით საკონკურსო განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. კომისია შედგება მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 7 წევრისგან. ამ დებულებით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის (მუხლი 8), ან სხვა დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში კომისიის წევრებად ინიშნებიან:

- დირექტორის მოადგილე მაუწყებლობის განვითარების დარგში;
- დირექტორის მოადგილე ტექნიკური განვითარების დარგში;
- სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი;
- საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის უფროსი;
- მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსი,

დირექტორი უფლებამოსილია დამატებით დანიშნოს კომისიის წევრი, რომელიც შეიძლება იყოს მაუწყებლის თანამშრომელი, ან მოწვეული სპეციალისტი.

## **მუხლის 7. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე**

1. კომისიის თავმჯდომარე:

- ა) ხელმძღვანელობს კომისიის და კომისიის სამდივნოს მუშაობას;
- ბ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების მომზადებას;
- გ) განსაზღვრავს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და უზრუნველყოფს კომისიის წევრებისათვის მის ხელმისაწვდომობას;
- დ) უზრუნველყოფს სხდომაზე აზრის თავისუფლად გამოხატვას და წესრიგის დაცვას;
- ე) წარმოადგენს კომისიას საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;
- ვ) ხელს აწერს კომისიის კორესპონდენციას;
- ზ) ასრულებს სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

## **მუხლი 8. კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტი**

1. კომისიის წევრიარ შეიძლება იყოს პირი:

- ა) რომელიც არის განმცხადებელი, ან მისი წარმომადგენელი;
- ბ) რომელიც არის განმცხადებლის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და ან ძმა, მშობლის ან შვილის გერი, მეუღლის და, ძმა ან მშობელი.
- გ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი საკონკურსო განაცხადის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;
- დ) რომელიც შრომით ურთიერთობაშია განმცხადებელთან;
- ე) რომლის საქმიანობა იწვევს დასაბუთებულ ეჭვს პირის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან,

კომისიას აცნობონ აცილების საფუძვლებისა და მისგან გამომდინარე თვითაცილების შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია აცილების საფუძვლების შესახებ კომისიისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული განაცხადის დამტკიცებამდე, კომისია აუქმებს აცილებას დაქვემდებარებული პირის მიერ გაკეთებულ შეფასებას.

### **მუხლი 9. საკონკურსო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა**

1. საკონკურსო კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

1.1. კონკურსის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მხარეთა მიერ შესრულების შემდეგ;

1.2. მაუწყებლის დირექტორის გადაწყვეტილებით;

1.3. თუ იგი სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად იქნა აღიარებული, ან მხარდაჭერის მიმღებად იქნა ცნობილი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

1.4. თუ იგი სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ან გარდაცვლილად;

1.5. თუ იგი გარდაიცვალა;

1.6. თუ მან პირადი (დასაბუთებული) განცხადებით უარი თქვა კომისიის წევრობაზე;

1.7. თუ მის მიმართ კანონიერ ძალში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

1.8. თუ იგი არასაკმატო მიზეზით ზედიზედ ორჯერ არ მონაწილეობდა კომისიის მუშაობაში;

1.9. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

2. იმ შემთხვევაში თუ კომისიის წევრ(ებ)ის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო კომისიის წევრთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, მაუწყებლის დირექტორი კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ნიშნავს კომისიის ახალ წევრს, რა დროსაც ჩერდება კომისიის მიერ პროექტების განხილვის ვადა.

### **მუხლი 10. კომისიის სამდივნო**

1. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის სამდივნო (შემდგომში – სამდივნო), რომელსაც მაუწყებლის დირექტორი ქმნის ბრძანებით, ან მის ფუნქციებს ავალებს მაუწყებლის რომელიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფს/თანამშრომელს. სამდივნოში საქმიანობისათვის შრომის ანაზღაურება არ გაიცემა. სამდივნოს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

2. სამდივნო:

ა) იღებს შემოსულ საკონკურსო დოკუმენტებს და უზრუნველყოფს კონკურსის პირველი ეტაპის წარმართვას. კერძოდ, უზრუნველყოფს შემოსული საკონკურსო განაცხადების გადარჩევას, ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას საკონკურსო მოთხოვნებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან, რომლის შემდეგაც არეგისტრირებს გადარჩეულ პროექტებს და უზრუნველყოფს კონკურსის მეორე ეტაპისთვის დოკუმენტების კომისიისთვის წარდგენას.

ბ) ამზადებს კომისიის სხდომებს, უზრუნველყოფს კომისიის წევრთა და მოწვეულ პირთა ინფორმირებას;

გ) უზრუნველყოფს კომისიის სხდომების ოქმების წარმოებას;

- დ) უზრუნველყოფს ან ორგანიზებას უკეთებს კონკურსთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოქვეყნებას;
- ე) ასრულებს კომისიის წევრებისა და კომისიის თავმჯდომარის მითითებებს;
- ვ) ასრულებს კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ და ტექნიკურ ფუნქციას.

#### **მუხლი 11. საკონკურსო კომისიის მუშაობა**

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
2. საკონკურსო კომისია:
  - ა) განიხილავს და შეაფასებს დარეგისტრირებულ პროექტებს, პროექტების შეფასების შედეგად ადგენს რეიტინგულ სიას;
  - ბ) კონკურსის ფარგლებში მომზადებული ფილმის მიღება-ჩაბარებამდე შეაფასებს მზა ფილმს და გასცემს დადებით, ან უარყოფით რეკომენდაციას.
  - გ) იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წევრის აცილების შესახებ;
  - დ) მაუწყებლის დირექტორს წარუდგენს წინადადებას სათათბირო ხმის უფლებით კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით შესაბამისი პირების მოწვევის შესახებ;
  - ე) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

### **თავი IV. კონკურსის ეტაპები, შეფასება, კომისიის დასკვნა**

#### **მუხლი 12. კონკურსის ეტაპები**

კონკურსის ეტაპებია:

1. პირველი ეტაპი - შემოსული განაცხადების გადარჩევა მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და პროექტების დარეგისტრირება. კონკურსის პირველი ეტაპი ტარდება განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღეში.
2. მეორე ეტაპი - გასაუბრება. გასაუბრება ტარდება პროექტების დარეგისტრირებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში. თუ დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობა მეტია ათზე, მაშინ კონკურსის მეორე ეტაპი ტარდება პროექტების დარეგისტრირებიდან არაუმეტეს იმ რაოდენობით სამუშაოდღეში, რამდენი პროექტიცაა დარეგისტრირებული.

#### **მუხლი 13. კონკურსის პირველი ეტაპი**

1. კონკურსის პირველ ეტაპზე კომისიის სამდივნო უფლებამოსილია კონკურსანტს განუსაზღვროს ხარვეზის გამოსწორების ვადა შემდეგი წესით:

1.1. თუ კონკურსის მონაწილე მაუწყებელს არ წარუდგენს საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებისთვის, კომისიის სამდივნო კონკურსის მონაწილეს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

1.2. დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენისთვის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები და 5 დღეზე მეტი. კომისიის სამდივნო უფლებამოსილია

კონკურსის მონაწილის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 3 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა.

2. დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განაცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

3. თუ დადგენილ ვადაში კონკურსის მონაწილე არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, კომისიის სამდივნო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება და პროექტი არ დაარეგისტრიროს.

4. საკონკურსო განაცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

5. კომისიის სამდივნო დაარეგისტრირებს მხოლოდ იმ პროექტებს, რომელიც აკმაყოფილებს სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის პირობებს.

#### **მუხლი 14. კონკურსის მეორე ეტაპი**

კონკურსის მეორე ეტაპი - გასაუბრება ტარდება შემდეგი წესით:

ა) გასაუბრების დროს განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.

ბ) გასაუბრებაზე დაიშვებიან ის კონკურსანტები, რომლებმაც გადალახეს პირველი ეტაპი;

გ) გასაუბრებას ატარებს კომისია, გასაუბრება წარმოებს პროდიუსერთან ან/და რეჟისორთან.

გასაუბრებაზე დასწრება შეუძლია სცენარის ავტორსაც.

დ) გასაუბრებაზე წარმოდგენილ პირს (პროდიუსერს/რეჟისორს), თუ ის არ არის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, უნდა გააჩნდეს მინდობილობა გაცემული ორგანიზაციის მიერ, კანონით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 15. საკონკურსო კომისიის მიერ პროექტის შეფასება**

1. გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კომისიის წევრები აფასებენ პროექტებს მაუწყებლის მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

2. საკონკურსო კომისია დირექტორს წარუდგენს შედეგებს დასკვნის სახით, რომლის ძირითადი ნაწილია პროექტების რეიტინგული სია. ამ დასკვნით კომისია რეკომენდაციას აძლევს მაუწყებელს შესაძლებლობების ფარგლებში დააფინანსოს პროექტები რიგითობისმიხედვით.

3. კომისიას უფლება აქვს დაფინანსების რეკომენდაცია გაუწიოს პროექტების მხოლოდ გარკვეულ რაოდენობას, ან დაფინანსების რეკომენდაცია არ გასცეს არცერთ პროექტზე.

### **თავი V. პროექტ(ებ)ის დაფინანსება**

#### **მუხლი 16. დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა და დაფინანსების ეტაპები.**

1. მაუწყებლის დირექტორი ბიუჯეტის შესაძლებლობების ფარგლებში განსაზღვრავს დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობას და კომისიის დასკვნაში წარმოდგენილი რეიტინგული სიის რიგითობის გათვალისწინებით გამოსცემს ბრძანებას დასაფინანსებელი პროექტების შესახებ.

4. პროექტის დაფინანსება წარმოებს ორ ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი: მხარეთა შეთანხმებით, დაფინანსების არაუმეტეს 50 %-ისა, პროდიუსერის მიერ წარმოდგენილი საწარმოო გეგმის (სამუშაოს შესრულების განრიგის) მიხედვით განსაზღვრული გადაღებების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის

განმავლობაში, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით, შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში;

ბ) მეორე ეტაპი: დაფინანსების დარჩენილი ნაწილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

### **მუხლი 17. დაფინანსების მიმღების საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა**

1. პროდიუსერი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებს დამოუკიდებლად და მის საქმიანობაში მაუწყებლის ჩარევა დაუშვებელია.

2. პროდიუსერის საქმიანობაში ჩარევად არ ითვლება ამ დებულებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება.

## **თავი VI. დაფინანსების მიმღებთან ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

### **მუხლი 18. ხელშეკრულების დადება**

1. სამართლებრივი ურთიერთობა მაუწყებელსა და პროდიუსერს შორის წესრიგდება ამ დებულებით და მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. ხელშეკრულების დადების საფუძველია საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა და დირექტორის ბრძანება.

3. ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) მხარეთა დასახელებას დარეკვიზიტებს;
  - ბ) მითითებას ხელშეკრულების დადების საფუძვლის შესახებ;
  - გ) მხარეთა უფლება-მოვალეობებს (საავტორო უფლებები, ფილმის მიღება-ჩაბარების წესი);
  - ე) ხელშეკრულების ღირებულებას და დაფინანსების გაცემის/ღირებულების გადახდის ეტაპებს, წესს, ვადას და მხარეთა საბანკო რეკვიზიტებს;
  - ვ) ხელშეკრულების შესრულების ვადას და პასუხისმგებლობის ფორმებს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო;
  - ზ) ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს და შეწყვეტის პირობებს;
  - თ) საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში გამოუყენებელი დაფინანსების ნაწილის დაბრუნების მექანიზმს;
  - ი) დავის გადაწყვეტის წესს;
  - კ) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის წესს (ფორმას);
  - ლ) მაუწყებლის მიერ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის წესს;
4. ფილმის მიღება-ჩაბარების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და იგი არ უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 13 თვეზე მეტი;
5. ხელშეკრულება არ იდება იმ შემთხვევაში, როცა:
- ა) არსებითად შეიცვალა გარემოება, რის გამოც შეუძლებელია ხელშეკრულების დადება;
  - ბ) გამოვლინდა წარდგენილი განაცხადის განუხილველად დატოვების საფუძველი;
  - გ) არსებითად არის დარღვეული კონკურსის ჩატარების წესი.

### **მუხლი 19. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი**

1. მაუწყებელი ახორციელებს დაფინანსების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს.
2. მონიტორინგი გულისხმობს როგორც დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში

მაუწყებლის მიერ ფილმის მიღება-ჩაბარებამდე გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან (ფინანსური მონიტორინგი), ასევე, დაფინანსების ხელშეკრულებით დაგეგმილი პროექტის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების შემოწმებას(პროგრამული მონიტორინგი).

3. ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება დაფინანსების ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯი;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება დაფინანსების ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯი. აღნიშნული ხარჯი მისი გამწევის მხრიდან ექვემდებარება უკან დაბრუნებას მაუწყებლის ანგარიშზე;

გ) მიღება-ჩაბარების აქტით ფილმის ჩაუბარებლობის შემთხვევაში მაუწყებლის ანგარიშზე დაბრუნებას ექვემდებარება ჩარიცხული თანხა სრულად.

4. ფინანსურ მონიტორინგს ახორციელებს მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის უფროსი, ან მისი დავალებით ამავე სამსახურის სხვა თანამშრომელი. პროგრამულ მონიტორინგს ახორციელებს სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი, ან მისი დავალებით ამავე სამსახურის სხვა თანამშრომელი.

## **მუხლის 20. მიღება-ჩაბარება**

1. მოწოდებული ფილმი უნდა შეესაბამებოდეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შინაარსობრივ ვალდებულებებს და მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტებით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პროდიუსერი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მაუწყებელს ჩააბაროს დასრულებული ფილმი, რაც დასტურდება მიღება- ჩაბარების აქტით.

3. ფილმის ჩაუბარებლობის შემთხვევაში პროდიუსერს ეკრძალება მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ სხვა კონკურსებში მონაწილეობა.

4. ფილმის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს მაუწყებლის სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის საკონკურსო კომისიის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე. საკონკურსო კომისია ფილმის ფაქტობრივი მოწოდებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დადებით, ან უარყოფით რეკომენდაციას გასცემს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

5. კომისიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უნდა წარმოადგინოს განსხვავებული აზრი (წერილობითი ფორმით).

## **მუხლი 21. საავტორო უფლებების საკითხი**

1. პროდიუსერი მაუწყებელს გადასცემს ლიცენზიას/ნებართვას მაუწყებლის სატელევიზიო ეთერსა და ვებ-პორტალზე ფილმის განთავსებაზე, გამოყენებაზე განუსაზღვრელი ვადით. მაუწყებლის მოთხოვნის თანავე პროდიუსერი ვალდებულია დაადასტუროს მაუწყებლისთვის უფლებების გადაცემის საკითხი, რისთვისაც შესაძლოა მოეთხოვოს შესაბამისი განაცხადის, ან ლიცენზიის ხელმოწერა;

2. ფილმზე არაქონებრივი და ქონებრივი საავტორო უფლებები რჩება პროდიუსერს წინამდებარე მუხლით დადგენილი ვალდებულებების გათვალისწინებით;

3. პროდიუსერი ვალდებულია: ა) ფილმის ტიტრებსა და ფილმის ყველა პრომომასალაში განათავსოს მაუწყებლის ლოგო და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფილმის (ერთ-ერთი) წარმომდგენია მაუწყებელი, ან ფილმი გადაღებულია მაუწყებლის დაკვეთით. იგივე უნდა



განაცხადოს/განათავსოს ფილმის შესახებ გავრცელებულ ყველა ინფორმაციაში. ბ) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ორი წლისგანმავლობაში არ გადასცეს ფილმი (მათ შორის გადამუშავებული) სხვატელეარხს, არ მოაწყოს მისი კომერციული ჩვენება, არ განათავსოს ინტერნეტში,თუკი ეს არაა გათვალისწინებული რომელიმე კინოფესტივალის მოთხოვნებით.

4. პროდიუსერი თავისუფლდება თანადამფინანსებლის, თანამწარმოებლისადა სხვა წარმდგენ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის ფილმის ტიტრებში განთავსებისთვის მაუწყებლის მიერ დადგენილი საფასურისგადახდისაგან.

## **მუხლი 22. დასკვნითი დებულება**

ამ დებულების გაუქმება, მასშიცვლილებებისადადამატებებისშეტანახორციელდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.